

დადგენილება 38/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გადასაყვანი გამოცდების ონლაინ და პირისპირ რეჟიმში ჩატარებისათვის დისციპლინების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ

დადგენილება №38/2020

16 ივნისი 2020

დადგენილება 38/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გადასაყვანი გამოცდების ონლაინ და პირისპირ რეჟიმში ჩატარებისათვის დისციპლინების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, 2020 წლის 1 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს-ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის დანართი N22-ის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გადასაყვანი გამოცდების ონლაინ რეჟიმში ჩატარებისათვის დისციპლინების ჩამონათვალი:

ა) საკონცერტმამხარობო დაოსტატების კლასი

ბ) სავალდებულო ფ-ნო

გ) საორკესტრო სიმეზანი (ყველა დისციპლინა)

- საორკესტრო სირთულეები და ფურცლიდან კითხვა
- საორკესტრო კლასი
- სპეციალობის კლასი და პედაგოგიური სემინარები
(ვიოლინო,ალტი,ჩელო,არფა,გიტარა)
- საორკესტრო რეპერტუარის შესწავლა (არფა)
- ფურცლიდან კითხვა და აპლიკატურული სირთულეები(გიტარა)
- მხატვრული აკომპონიმენტი (გიტარა)
- მეთოდოლოგია
- სამემსრულებლო ხელოვნების ისტორია

დ) აკადემიური გუნდის დირიჟორობა (ყველა დისციპლინა)

- საგუნდო დირიჟორობა
- საგუნდო კლასი და გუნდთან მუშაობა
- საგუნდო ვოკალი
- საკონცერტმამხარობო კლასი
- სიმფონიური დირიჟორობა
- საგუნდო პარტიტურის კითხვა
- გუნდმცოდნეობა
- სავალდებულო ფორტეპიანო
- სამემსრულებლო ხელოვნების ისტორია
- მეთოდოლოგია
- საგუნდო არანჟირება

ე) საორკესტრო ჩასაბერი (ყველა დისციპლინა)

- სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი
- საორკესტრო კლასი
- სპეციალობა და პედაგოგიური სემინარები
- კამერული ანსამბლი
- მონათესავე ინსტრუმენტი
- საორკესტრო სირთულეები და ფურცლიდან კითხვა

ვ) ჯაზის ხელოვნება (ყველა დისციპლინა)

- სპეციალობის კლასი და პედაგოგიური სემინარები
- მეორე ინსტრუმენტი
- არანჟირება
- საანსამბლო კლასი და საესტრადო კოლექტივთან მუშაობის პრაქტიკა

ზ) გუნდი

თ) თანამედროვე მუსიკის ანსამბლი

ი) კლავიშიან საკრავების მიმართულებაში შემავალი შემდეგ დისციპლინები:

- ბაროკოს ანსამბლი
- XX საუკუნის მუსიკალური შემსრულებლობა
- ფორტეპიანოზე დაკვრის მეთოდოლოგია
- ზოგადი და მუსიკალური პედაგოგია
- ციფრირებული ბანი

კ) სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებაში შემავალი შემდეგი დისციპლინები:

- ვოკალის სწავლების მეთოდოლოგია
- საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია

ლ) საოპერო მომზადების მიმართულებაში შემავალი შემდეგი დისციპლინა:

- სამსახიობო ოსტატობის საფუძვლები

2. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გადასაყვანი გამოცდების ონლაინ და პირდაპირ რეჟიმში ჩატარებისათვის დისციპლინების ჩამონათვალი:

ა) კლავიშიანი საკრავები - ორდანი

ბ) კამერული ანსამბლი და საკვარტეტო კლასი

გ) სოლო აკადემიური სიმღერა

- სპეციალობის კლასი და პედაგოგიური სემინარები
- კამერული სიმღერა
- ვოკალური ანსამბლი

დ) საოპერო მომზადების მიმართულება

3. შემდეგ სემესტრში გადავიდეს:

ა) სასცენო მოძრაობა

ბ) სასცენო მეტყველების კულტურა

4. დადგენილება დაეგზავნოს კონსერვატორიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

5. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

